საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 12 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №318/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 28 დეკემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლის -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 22 აპრილის №318/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, მოსამართლის მიერ საქმის განხილვის ვადის გაჭიანურებაზე.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2016 წლის 18 მარტს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის -- --, -- --, -- -- და -- -- მიმართ, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და ხელშეშლის აღვკვეთის მოთხოვნით (-- -- საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარე, -- --. გამოთავისფლდეს -- --, -- --, -- --, -- -- მისი ორი არასრულწლოვანი შვილის, უკანონო მფლობელობიდან და დაევალოთ მათ ხელშეშლის აღკვეთა და ბინის დატოვება).

მოპასუხეებმა შესაგებელი წარადგინეს 2016 წლის 19 აპრილს. 2016 წლის 30 ნოემბერს მოსარჩელემ წარადგინა დაზუსტებული სარჩელი, რომელზეც მოპასუხეებმა წარადგინეს შესაგებელი 2017 წლის 23 იანვარს.

-- -- სასამართლოს 2017 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა მოსარჩელე -- -- სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხეების -- --, -- --, -- --, -- -- მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე. მოპასუხეების -- --, -- --, -- --, -- -- უკანონო მფლობელობიდან, მათი გამოსახლების გზით, გამოთხოვილ იქნას -- -- კუთვნილი უძრავი ქონება, მდებარე -- -- და გამონთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცეს მესაკუთრეს - მოსარჩელე -- --.

2.2. -- -- სასამართლოს 2017 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა 2017 წლის 25 მაისს. 2018 წლის 28 მარტის განჩინებით -- --, -- --, -- -- და -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს 2017 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება.

2.3. -- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 28 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა -- -- (საკასაციო საჩივარი 27.04.2018 წელი). საკასაციო საჩივარი 2018 წლის 25 მაისიდან განსახილველად გადაეცა უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლეს -- --. 2018 წლის 25 ივნისის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული -- -- საკასაციო საჩივარი. 2018 წლის 8 აგვისტოს -- -- წარადგინა საკასაციო შესაგებელი.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ -- -- და -- -- ტელეფონის საშუალებით ეცნობათ, რომ -- -- საკასაციო საჩივრის დასაშვებობის განხილვა დაინიშნა 2018 წლის 28 დეკემბერს, შემდეგი შემადგენლობით: -- --, -- --, -- --. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 28 დეკემბრის განჩინებით -- -- საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველი. 2019 წლის 12 თებერვალს მოსამართლის თანაშემწე სატელეფონო საშუალებით დაუკავშირდა მხარეებს -- -- და -- -- და აცნობა 2018 წლის 28 დეკემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის შესახებ.

2019 წლის 15 თებერვალს სამოქალაქო საქმე გადაიგზავნა -- სააპელაციო სასამართლოში, ხოლო 2019 წლის 27 თებერვალს საქმე გადაეცა -- -- სასამართლოს. საქმეზე მოსარჩელე -- -- ჩაიბარა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და სააღსრულებო ფურცელიც.

2.4. მოსამართლე -- -- 2015-2017 წლებში განსახილველად გადაცემული ჰქონდა დაახლოებით 579 საქმე, დასრულდა 634 საქმე (109.4%), ხოლო 2018 წელს განსახილველად გადაცემული ჰქონდა დაახლოებით 485 საქმე, დასრულდა 216 საქმე (44.5%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 22 აპრილის დასკვნა:

-- -- 2018 წლის 28 დეკემბრის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“ განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში. ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო ვადის დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების 6.5. მუხლის მიხედვით მოსამართლემ ყველა სამოსამართლო ფუნქცია, მათ შორის გადადებულ გადაწყვეტილებათა მიღება უნდა განახორციელოს ეფექტურად, სამართლიანად და გონივრული სისწრაფით. ამასთან, „საქმეების სამართლიანად და გულდასმით განხილვის ვალდებულება არ ეწინააღმდეგება საქმეთა საკმარისად სწრაფად განხილვისა და გადაწყვეტის ვალდებულებას. მოსამართლის უპირველესი ვალია სამოსამართლო უფლებამოსილების შესრულება, რომელთა ძირითადი ელემენტიც არის საქმეების განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა. გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება მოსამართლემ უსაფუძვლო დაგვიანების გარეშე უნდა გამოაცხადოს.“

საქმის განხილვის დაწყების შემდეგ იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები დარღვეული „არასაპატიოდ“ უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ:

1. საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, §150);
2. მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3. საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tiece v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, §98).

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე -- -- წარმოადგენს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლეს, შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სამოქალაქო საქმეებზე საკასაციო საჩივრის მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის საერთო ვადაა 6 თვე, ხოლო უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეზე - 2 თვე. ამავე კოდექსის 401-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 3 თვის ვადაში, ხოლო უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეზე – 1 თვის ვადაში საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ კოდექსის 391-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისად. თუ საკასაციო საჩივარი აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს, იგი დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი.

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების 6.5. მუხლის მიხედვით მოსამართლემ ყველა სამოსამართლო ფუნქცია, მათ შორის გადადებულ გადაწყვეტილებათა მიღება უნდა განახორციელოს ეფექტურად, სამართლიანად და გონივრული სისწრაფით. ამასთან, „საქმეების სამართლიანად და გულდასმით განხილვის ვალდებულება არ ეწინააღმდეგება საქმეთა საკმარისად სწრაფად განხილვისა და გადაწყვეტის ვალდებულებას.“[2]

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო საჩივარი 2018 წლის 25 მაისიდან განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. 2018 წლის 25 ივნისს მოსამართლემ წარმოებაში მიიღო -- -- საკასაციო საჩივარი, ხოლო 2018 წლის 28 დეკემბრის განჩინებით საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველი. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მოსამართლემ წარმოებაში მიღებიდან 6 თვის შემდგომ იმსჯელა და დაუშვებლად ცნო საჩივარი.

მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედებების გათვალისწინებით უნდა ითქვას, რომ ადგილი არ ჰქონია მისი მხრიდან საქმის განხილვის ვადის გაჭიანურების ფაქტს.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან - 12 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

[2] იხ. “მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და მისი კომენტარები, გვ 192, თბილისი 2015.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №318/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი